საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

Office of Public Defender of Georgia

429-01-5-2-201307241708

N 01-5/429
24/07/2013

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის შექმნაზე.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ #3 ბრძანების მე-5 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად გთხოვთ, გამოაქვეყნოთ განცხადება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის შექმნის კონკურსის შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

„ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ #3 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განცხადებასთან ერთად გოგზავნით თანდართულ დოკუმენტაციას.

ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ესევე გთხოვთ, სააგენტოს მიერ განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის მიღების დადასტურება გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: bturmanidze@ombudsman.ge

პაატა ბელთაძე

სახალხო დამცველის მოადგილე

საქართველო, თბილისი, ნინო რამიშვილის ქუჩა №6 ტელეფონი: (+995 32) 91 38 14
6 Nino Ramishvili st., Tbilisi, Georgia Tel.: (+995 32) 91 38 14

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

კონკურსის მეშვეობით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

ქ.თბილისი

2013 წელი

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი)
2. შესყიდვის ობიექტი:
    - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის შედგენა.
3. საკონკურსო პრემიის (მათ შორის ესკიზის შედგენის და საავტორო უფლებების გადაცემის) ოდენობა შეადგენს (ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შესმყიდველი) 1000 (ერთი ათასი) ლარს.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 02 სექტემბრის 10:00 საათიდან 2013 წლის 13 სექტემბრის 12:00 საათამდე მისამართზე - ქ.თბილისი, ნ.რამიშვილის 6, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.
5. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 13 სექტემბერს 12:15 საათზე მისამართზე ქ.თბილისი, ნ.რამიშვილის 6, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

საკონკურსო პირობები

1. **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი)**
2. **შესყიდვის ობიექტი:**
   - **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის შედგენა.**
3. **საკონკურსო პრემიის (მათ შორის ესკიზის შედგენის და საავტორო უფლებების გადაცემის) ოდენობა შეადგენს (ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) 1000 (ერთი ათასი) ლარს.**
4. **კონკურსში მონაწილეობის საფასური:**

   4.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19_1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

   4.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

   პირის მიერ 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
5. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.
6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
9. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხ სწყვეტს სატენდერო კომისია.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭდდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხევვაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნება)
11. **დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 02**

სექტემბრის 10:00 საათიდან 2013 წლის 13 სექტემბრის 12:00 საათამდე მისამართზე - ქ.თბილისი, ნ.რამიშვილის 6, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

12. კონკურსანტს აქვს უფლება წარმოადგინოს ესკიზის ერთი ან რამდენიმე ვარიანტი.
13. საკონკურსო პრემია გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმების და შესაბამისი ყველა საავტორო უფლების საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.
14. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:
    - ტექნიკური დავალების მიხედვით შედგენილ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზს.
    - რეკვიზიტებს დანართი N1-ის მიხედვით.
15. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმით:
    - ესკიზების ვიზუალური მხარე - კოეფიციენტი 1.
16. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მას მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
17. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.
18. კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საკონკურსო კომისიის აპარატში - ქ. თბილისი, ნ.რამიშვილის ქუჩა #6, საკონტაქტო პირი: ბეჟან თურმანიძე ტელ.: 832 2913814/15. ელ–ფოსტა: bturmanidze@ombudsman.ge

ტექნიკური დავალება

ესკიზის შექმინსას პრეტენდენტებს ეძლევათ სრული თვისუფლება. ესკიზმა უნდა შექმნას პოზიტიური ემოციური ფონი და უნდა იყოს ორიგინალური, საინტერესო და მარტივად დასამახსოვრებელი.

ესკიზი უნდა შეიცავდეს:

- ესკიზის ორიგინალს (შესრულებული ხელით) და მის ელექტრონულ ვერსიას.
- განმარტებით ბარათს ესკიზის შექმნისას ავტორის ჩანაფიქრის შესახებ.

შენიშვნა: გამარჯვებული ესკიზის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა ესკიზი კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი **/თარიღი/**

ერთი მხრივ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილის პაატა ბელთაძის სახით და მეორე მხრივ _____(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4.„მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის და აღნიშნულ ესკიზზე ყველა შესაბამისი საავტორო უფლების საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საკუთრებაში გადაცემა.

2.1 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის და აღნიშნულ ესკიზზე ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის გადაცემა.

2.2 საქართელოს სახალხო დამცველის აპარატის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოცხადებული კანდიდატის მიერ ლოგოს ესკიზზე საავტორო უფლებები გადაცემა ხორციელდება "საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართელოს კანონმდებლლბის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1250.00 (ერთი ათას ორასორმოცდაათი) ლარს.
3.2.ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი მომსახურების ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზის და აღნიშნულ ესკიზზე ყველა შესაბამისი საავტორო უფლების საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულების ობიექტი (საგანი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საკუთრებაში გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ლოგოს ესკიზი და მასთან დაკავშირებული ყველა საავტორო უფლება.

ბ) განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი მალხაზ საბანიძე – ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურე.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის: ქ.თბილისი ნ.რამიშვილის 6 საიდ.კოდი: 203860679 ტელ: 2913814/15 ფაქსი: 2913841 ელ–ფოსტა:bturmanidze@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა: 200122900 _____ სახალხო დამცველის მოადგილე პ.ბელთაძე	

დანართი #1

რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
ელ-ფოსტა:
ბანკის დასახელება და კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში: